F 133
1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 5 სექტემბერი № 24 თბილისი

F 556

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

149. აგურის, კრამიტისა და სხვა ადგილობრივი სამშენებლო მასალის ახალი გასაცემი ფასების დაწესების შესახებ.

150. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.

წესდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

149. აგურის, კრამიტისა და სხვა ადგილობრივი სამშენებლო მასალის ახალი გასაცემი ფასების დაწესების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 22 მაისის № 1433 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1941 წ. 1 სექტემბრიდან საქართველოს სსრ-ში ახალი, რაიონების მიხედვით დიფერენცირებული, აგურის, კრამიტის, ქვაყორის, ქვიშისა და ხრეშის, რიყის ქვის, ბოლნისის ტუფისა და დაფქული კირის გასაცემი ფასები, თანახმად დანართებისა №№ 1, 2 და 3.

2. ნება დაერთოს რაიონული ქვემდებარების საწარმოებს და კოოპერაციულ წარმოებებს მოახდინონ მათ მიერ გამომუშავებული აგურის რეალიზაცია იმ გასაცემი ფასების 20% დამატებით, რაც ამ დადგენილებით დაწესებულია სათანადო რაიონებისათვის.

3. წინადადება მიეცეს სამრეწველო ბანკის, კომუნალური ბანკის, სასოფლო-სამეურნეო ბანკის და სავაჭრო ბანკის საქართველოს კანტორებს გაანაღდონ ადგილობრივი სამშენებლო მასალების დამამზადებელ საწარმოთა ანგარიშები ამ დადგენილებით დაწესებული ახალი გასაცემი ფასების მტკიცე შესაბამისობით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს (ამხ. ბუხნიკაშვილს) უზრუნველჰყოს საწარმოთა მიერ გამოშვებული აგურის ხარისხის სისტემატური გამოცდა, რისთვისაც იხელმძღვანელოს ახალი საერთო—საკავშირო სტანდარტით „გოსტ"—430—41.

5. დაევალოს ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და აბაშის, ლაგოდეხის, ქობულეთის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ონის, საგარეჯოს, მაიაკოვსკის და თეთრიწყაროს რაიონულ საბჭოების აღმასკომებს გადასინჯონ აგურის თვითღირებულების 1941 წლის გეგმა, მისი მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით, და უზრუნველჰყონ საწარმოთა მუშაობის რენტაბელობა ახალი გასაცემი ფასების პირობებში.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი (იმ სამშენებლო მასალების ფასების ნაწილში, რაც ამ დადგენილებაშია გათვალისწინებული):

ა) 1936 წ. 3 მაისის თარიღით „ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 19, მუხ. 115);

ბ) 1939 წ. 27 იანვრის თარიღით „სამშენებლო აგურზე ახალი საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ" (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 3, მუხ. 16);

გ) 1939 წ. 22 ნოემბრის თარიღით № 2218 „კრამიტის, ძეგვის კირის და ცაიშის ცარცის გასაცემი ფასების შესახებ" (ოქმი № 43, პ. 14);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) 1939 წ. 22 ნოემბრის თარიღით № 2229 „რაისაბჭოების აღმასკომებისა და კოოპერაციული საწარმოების მიერ გამომუშავებულ აგურის გასაცემი ფასების წანამატების შესახებ“ (ოქმი № 43, პ. 25);

ე) 1941 წ. 20 მარტის თარიღით „მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1941 წ. № 12, მუხ. 72);

ვ) 1941 წ. 12 ივლისის თარიღით № 1271 (ოქმი № 18, პ. 1).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 29 აგვისტო № 1579.
თბილისი.

დანართი № 1.

სამშენებლო აგურის გასაცემი ფასები

(ათას ცალში ფრანკო—საწარმო)

რაიონების დასახელება	გასაცემი ფასი მანეთობით მარკების მიხედვით			
	მარკა 125—150	მარკა 100	მარკა 75	მარკა 50
I. ქ. თბილისი, ცხაკაიას და სოხუმის რაიონები	155	147	140	124
II. გურჯაანის, ხაშურის, მცხეთის, მახარაძის და ზუგდიდის	180	171	162	144
III. ლანჩხუთის, თბილისის, ზესტაფონის, სამტრედიის, ოჩემჩირის, სტალინირის, თიანეთის, ქალ. ფოთის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ქუთაისის, წყალტუბოს, გალის	193	183	174	155
IV. ახალციხის, გუდაუთის, ყარაიას, ვანის, თელავის, წალენჯიხის, წულუკიძის, ლუქსემბურგის, დუშეთის, ქობულეთის, გორის, საჩხერის, ამბროლაურის, აბაშის, ყვარლის, გეგეჭკორის	237	225	213	190
V. დანარჩენი რაიონები	280	266	252	224

შენიშვნა. II ხარისხის აგური იყიდება ამ დადგენილებაში აღნიშნული ფასების 15% დაკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2.

მარსელის, ქართული და ჰოლანდური კრამიტის გასაცემი ფასები

(ფასი ფრანკო-საწარმო)

რაიონების დასახელება	გასაცემი ფასი მანეთობით
ა) მარსელის კრამიტი	
I. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. სამშენებლო მასალათა მთავარ სამმართველოს ნოსირის ქარხანა	350 მან. ათას ცალში
II. მცხეთის, ცხაკაიას, ქუთაისის, ზესტაფონის, სამტრედიის, მახარაძის, ახალციხის, სოხუმის, გალის, თელავის, თიანეთის, ჩხარის, ზუგდიდის, დუშეთის რაიონები და ქალ. ქუთაისი	450 მან. —„—
III. ჩოხატაურის, ტყიბულის, სოხუმის, ყვარელის, ლანჩხუთის, ამბროლაურის, ქობულეთის, სტალინირის, გურჯაანის, ლანჩხუთის, ონის რაიონები	550 მან. —„—
IV. დანარჩენი რაიონები	600 მან. —„—
ბ) ქართული კრამიტი	
საქართველოს სსრ-ის ყველა რაიონში	350 მან. —„—
გ) ჰოლანდური კრამიტი	
საქართველოს სსრ-ის ყველა რაიონში	360 მან. —„—

დანართი № 3

ქვაყორის, ქვიშის, ხრეშის და ზოგიერთი სხვა სახის ადგილობრივი სამშენებლო მასალის გასაცემი ფასები

(ფასი ფრანკო-კარიერები)

ნაწარმის დასახელება	გასაცემი ფასი
I. ქვაყორე	
ა) ბათუმის, წყალტუბოს, ზესტაფონის, მცხეთის რაიონები	14 მან. ერთ. კუბ. მეტრში
ბ) ყველა დანარჩენი რაიონი	9 „ „ „
II. ქვიშა და ხრეში	
საქართველოს სსრ ყველა რაიონში	4 მან. 50 კაპ. „
III. რიყის ქვა საქართველოს სსრ ყველა რაიონში	4 მან. „ „
IV. ბოლნისის დეკორატიული ტუფი	500 მან. ერთ. კუბ. მეტრში
V. დაფქული კირი	115 „ ტონაში

150. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 66; 1928 წ. № 9, მუხ. 71; 1931 წ. № 15, მუხ. 180; საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 7, მუხ. 28).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 29 აგვისტო. № 1580.
თბილისი.

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებისა

I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება ანხორციელებს სსრ კავშირის სანიტარული თავდაცვის განმტკიცების საქმეში მშრომელთა ფართო მასების მიზიდვის, აგრეთვე საომარი მოქმედებისა და სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ პირთათვის დახმარების აღმოჩენის ამოცანას.

2. პირველ მუხლში აღნიშნული ამოცანების მისაღწევად საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოება:

ა) ჰქმნის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და საცხოვრებელ სახლებში წითელი ჯვრის პირველადს ორგანიზაციებს, აგრეთვე სანიტარული საგუშაგოებისა და რაზმების ფართო ქსელს;

ბ) ამზადებს სანიტარულ თავდაცვის მასობრივ კადრებს (მედიცინის დებს, სანიტრებს, დეზინფექტორებს);

გ) ეწევა მოსახლეობის მასობრივ მომზადებას ქვეყნის სანიტარული თავდაცვის, აგრეთვე პირველი საექიმო დახმარებისა და თვითდახმარების აღმოჩენის ცოდნის საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ატარებს სამოქალაქო მოსახლეობაში განმნათლებელ და დამხმარე მუშაობას ქვეყნის სანიტარული თავდაცვის ხაზით;

ე) დახმარებას უწევს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს იმ მხრივ, რომ გაატარონ სანიტარულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, აწარმოონ ბრძოლა ინფენქციურ დაავადებებთან და ტრავმატიზმთან საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში;

ვ) დახმარებას უწევს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს იმ მხრივ, რომ ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში სისხლის გადასხმის მნიშვნელობის საკითხზე, აგრეთვე დონორთა კადრების მიზიდვის საქმეში;

ზ) აწყობს მოსახლეობის დახმარებას სტიქიური უბედურების დროს;

თ) გამოსცემს ლიტერატურას წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობის საკითხზე;

ი) ატარებს სხვა ღონისძიებებს იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებსაც წითელი ჯვრის ორგანიზაციები ანხორციელებენ.

3. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოება არის სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის წევრი და მისი მეშვეობით შედის საერთაშორისო წითელი ჯვრისა და წითელი ჯვრის საზოგადოებათა ლიგის შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოება სარგებლობს სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის შემადგენლობიდან თავისუფლად გამოსვლის უფლებით.

4. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოება ანხორციელებს წითელი ჯვრის იმ საერთაშორისო კონვენციებიდან გამომდინარე ღონისძიებებს, რომელთა მონაწილეც არის სსრ კავშირი, აგრეთვე ანხორციელებს იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებითა და განკარგულებებით.

5. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოება სარგებლობს თანაბარქიმიანი წითელი ჯვრის ნიშნით თეთრ ფონზე.

6. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით. მას შეუძლია შეიძინოს თავისი ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ქონება, განასხვისოს იგი, დასდოს ხელშეკრულებანი, იკისროს ვალდებულებანი, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ, მიიღოს ქონება საჩუქრად და სხვ.

II. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების მმართველობის ორგანოები

ა. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების რესპუბლიკური ყრილობა

7. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საზოგადოების რესპუბლიკური ყრილობა.

8. რესპუბლიკური ყრილობა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) აირჩევს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს და სარევიზიო კომისიას;

ბ) განიხილავს და დაამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის მოხსენებებსა და ანგარიშებს;

გ) გადასწყვეტს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების კომპეტენციაში შემავალ ყველა სხვა საკითხებს, რომელსაც ყრილობა თავის განსახილველად მიიღებს.

შენიშვნა. ყრილობის დადგენილებანი წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ ძალაში შედის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

9. მორიგ ყრილობებს მოიწვევს საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი ორ წელიწადში ერთხელ.

საგანგებო ყრილობების მოწვევა მოხდება საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის ინიციატივით ანდა საზოგადოების წევრთა სულ მცირე ორი მესამედის მოთხოვნით.

10. რესპუბლიკური ყრილობის მოწვევის დროსა და ადგილს აწესებს საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი.

11. რესპუბლიკური ყრილობა შესდგება დელეგატებისაგან, რომლებიც აირჩევიან საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების რწმუნებულთა საოლქო, საქალაქო და სარაიონო კონფერენციებზე.

12. რესპუბლიკური ყრილობის დელეგატთა არჩევნების წესსა და წარმომადგენლობის ნორმებს დააწესებს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი.

13. რესპუბლიკური ყრილობა კანონიერად ჩაითვლება, თუ მას ესწრება ყრილობისათვის ასარჩევი დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედისა.

ბ) საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი

14. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს აირჩევს რესპუბლიკური ყრილობა ფარული კენჭისყრით წევრთა იმ რაოდენობით, რასაც ყრილობა განსაზღვრავს.

15. რესპუბლიკურ ყრილობებს შორის საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მორიგ სხდომებს მოიწვევს მისი პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ მაინც.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საგანგებო სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნას მისი პრეზიდიუმის ინიციატივით, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის წევრთა სულ მცირე ერთი მესამედის მოთხოვნით ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

16. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი:

ა) განიხილავს და დაამტკიცებს პრეზიდიუმის მუშაობის გეგმებს, საზოგადოების ბიუჯეტს, პრეზიდიუმისა და საზოგადოების ცალკეულ ორგანიზაციათა ანგარიშებსა და მოხსენებებს;

ბ) მიიღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობის საკითხებზე;

გ) გადასჭრის საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს შორის წამოჭრილ დავასა და უთანხმოებას.

17. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი მიიღებიან ხმის უბრალო უმრავლესობით, თუ სხდომას ესწრება მისი შემადგენლობის ნახევარი მაინც.

18. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ღია კენჭისყრით აირჩევს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და წევრებს.

19. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია მისი ემბლემა და სახელწოდება. ცენტრალური კომიტეტის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

გ) საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

20. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი:

ა) ცენტრალური კომიტეტის სხდომებს შორის ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების სამუშაოთა საერთო გეგმებს და ბიუჯეტს და თვალყურს ადევნებს მათს შესრულებას;

გ) წინასწარ დაამუშავებს და მოამზადებს ყველა საკითხს, რომლებიც საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკურმა ყრილობამ უნდა განიხილონ;

დ) განიხილავს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების ანგარიშებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

ე) ამარაგებს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს ცენტრალური კომიტეტისათვის წარსადგენი საფინანსო, საინფორმაციო და სტატისტიკური ცნობების ფორმებით და აწესებს ამ ცნობების წარდგენის ვადებს;

ვ) გამოდის საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლად სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების წინაშე;

ზ) განაგებს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ყველა საქმეს, ქონებას, სახსრებს, დაწესებულებებს და ანხორციელებს საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, უფლებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) განიხილავს შტატებს მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, განსაზღვრავს ცენტრალური კომიტეტის აპარატის ცალკეული ნაწილების ფუნქციებს და ადგენს მათი მუშაობის წესს;

ი) ანხორციელებს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ყველა სხვა ფუნქციებს, გარდა ისეთებისა, რომლებიც ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის კომპეტენციაში შედის.

21. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება ენიჭება მოითხოვოს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტთა საგანგებო ყრილობებისა და პლენუმების მოწვევა და მათს კომპეტენციაში შემავალი ამა თუ იმ საკითხების განხილვა ამ ყრილობებსა და პლენუმებზე.

22. პრეზიდიუმის სხდომებს შორის საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. ყოველგვარ დირექტივებს, აგრეთვე საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების სახელით გაცემულ მინდობილობებს ხელს აწერს თავმჯდომარე. თავმჯდომარეს უფლება აქვს გამოვიდეს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების, მისი ცენტრალური კომიტეტისა და პრეზიდიუმის სახელით.

დ) სარევიზიო კომისია

23. სარევიზიო კომისიას აირჩევს რესპუბლიკური ყრილობა ფარული კენჭისყრით იმ დელეგატთა რიცხვიდან, რომლებიც არ შედიან საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას დააწესებს ყრილობა.

24. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება მსახურებდნენ ცენტრალური კომიტეტის ან მისი სამმართველოებისა და განყოფილებათა აპარატში.

25. სარევიზიო კომისია:

ა) აწარმოებს ცენტრალური კომიტეტის, ყველა მისი სამმართველოსა და განყოფილების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას;

ბ) ამოწმებს, თუ როგორ ასრულებენ ცენტრალური კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი ამ წესდებით გათვალისწინებულ ამოცანებს, ყრილობის დადგენილებებსა და მუშაობის გეგმებს.

26. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

27. სარევიზიო კომისიის წევრები მონაწილეობას იღებენ ცენტრალური კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის ყველა სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით.

28. სარევიზიო კომისიის დადგენილებანი და მისი წინადადებანი ჩატარებული რევიზიებისა და გამოკვლევების შესახებ განხილულ უნდა იქნას სარევიზიო კომისიის მოთხოვნით ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ან პლენუმის სხდომებზე.

29. სარევიზიო კომისია თავისი მიმდინარე მუშაობისათვის სარგებლობს

ცენტრალური კომიტეტის აპარატით; მის მუშაობასთან დაკავშირებულ მთელ ხარჯებს თავისი სახსრებიდან გასწევს ცენტრალური კომიტეტი და შეიტანს თავის ხარჯთაღრიცხვაში.

ე) საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები

30. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები არიან საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტები, რომლებსაც ფარული კენჭისყრით აირჩევენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების რწმუნებულთა სათანადო კონფერენციები; იგივე კონფერენციები ფარული კენჭისყრით აირჩევენ ადგილობრივ სარევიზიო კომისიებს საზოგადოების იმ წევრთა რიცხვიდან, რომლებიც არ შედიან ცენტრალური ან ადგილობრივი კომიტეტების შემადგენლობაში.

31. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტები:

ა) მოიწვევენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების რწმუნებულთა საოლქო, საქალაქო და სარაიონო კონფერენციებს რესპუბლიკური ყრილობების დელეგატთა ასარჩევად, ადგილობრივი კომიტეტებისა და სარევიზიო კომისიების მოხსენებებისა და ანგარიშების განსახილველად და დასამტკიცებლად, აგრეთვე იმ სხვა საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც საზოგადოების ზემდგომი ორგანოების კომპეტენციაში არ შედის;

ბ) სამუშაოთა იმ საერთო გეგმებისა და ბიუჯეტების საფუძველზე, რომლებსაც საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებს, შეიმუშავებენ თავისი მუშაობის პროგრამებსა და ბიუჯეტებს, რომლებსაც დასამტკიცებლად წარუდგენენ საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს;

გ) ხელმძღვანელობას უწევენ წითელი ჯვრის იმ პირველადს ორგანიზაციებს, რომლებიც მათს გამგებლობაში იმყოფებიან, და თავიანთი მუშაობის შესახებ პერიოდულ საფინანსო, საინფორმაციო და სტატისტიკურ ანგარიშებს წარუდგენენ ქვემდებარების წესით საზოგადოების ზემდგომ ორგანოს;

დ) ანხორციელებენ საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ყველა სხვა ფუნქციებს, გარდა ისეთებისა, რომლებიც ზემდგომი ორგანოების კომპეტენციაში შედის.

32. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები თავიანთი მუშაობის დროს ხელმძღვანელობენ საზოგადოების საერთო ამოცანებით და ამ წესდებით, აგრეთვე საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის მითითებებით, ინსტრუქციებითა და ცალკე განკარგულებებით.

III. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების სახსრები

33. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების სახსრებს შეადგენენ:

ა) საწევრო და შესასვლელი შენატანები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სპეციალური დოტაციები, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტი გაიღებს;

გ) სახსრები და ქონება, რაც ცალკეული პირებისა და ორგანიზაციებისაგან საჩუქრად შემოდის.

34. საზოგადოების მიერ საწევრო შენატანების სახით მიღებული მთელი სახსრები გადადის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში.

35. საზოგადოების მთელი ნაღდი სახსრები ინახება სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში.

IV. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ანგარიშგება

36. ყოველი საანგარიშო წლისათვის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი შეადგენს წლიურ ბალანსს და ანგარიშს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

V. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ლიკვიდაცია

37. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს:

ა) საზოგადოების რესპუბლიკური ყრილობის მიერ;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

38. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28

შეკვეთა № 1789. ტირაჟი 1.800.